საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · დღ. მთავარი [illegible]

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი ივნისის 15

1921 წ.

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე"
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

ტფილისის საერთო განათლების
მოსამზადებელ კურსების
ახალ სემესტრზე ჩაწერა
დაიწყება ივნისის 15-დან; კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდე.
რეალურ სასწავლებლის შენობა. 39

ქვრივი განსვენებულ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების წევრის
გერასიმე დიმიტრის ძე შევჩუკისა
აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სულის მოსახსენებლად დანიშნული ივნისის 16, 3 საათზე ქაშვეთ სასაფლაოზე. 1039

ქბილის ექიმმა
აპოლონ ურუშაძემ
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ხეხუთაძის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხიდილიხი (914 წ 606
სქესობრივი ჭლურება, ვენერიული ხუხუნათი და შეიდიაგზი.
ახალი მეზუთიავის ქ. 5, ცოცხალი მქროზელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოფერია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინას შეშხაპუნებით. ქაით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოჰიგიენიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. № 3, [illegible] 2. 38

## ფელეტონი

41.

### ქართველი ტყვეები.

რუსეთში რამდენიმე ათეული ქართველი ტყვე, ოფიცრობა, ინტელიგენტები, ეწევიან რუსეთში იძულებითი ხასიათის მუშაობას.

ბოლშევიკურ რეჟიმის პირველ დღეებში იქმნენ გასტუმრებულნი რუსეთში ხსენებული ტყვეები. თავის დროზე გადადგმული იქმნა სათანადო ნაბიჯები ტყვეების გზიდან დასაბრუნებლად. გაიგზავნა დეპეშები. მაგრამ უნაყოფოდ. დეპეშები გაიგზავნა არა ერთხელ, გვპირდებოდნენ გავლენიანი ძალები, რომ ტყვეები უეჭველად იქნებოდნენ დაბრუნებულნი ჩვენც დავიჯერეთ, გავიდა, რევკომის ცდა, მთავრობის მიერ მიღებული ზომები გაცრუვდნენ. ეხლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ ტყვეები პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში არიან და მათ სიკვდილი მოელით.

საჭიროა დაუყოვნებლივ შველა. რა უნდა გავაკეთოთ ამ მხრივ?

ერთი პრინციპიალი საკითხი უნდა გადიჭრას. შეუძლებელია ქართველი ტყვეების ან დამნაშავეთ უცხო ქვეყანაში გაგზავნა. საქართველოსათვის რუსეთი უცხოეთია, უცხო ქვეყანაა, სხვა სახელმწიფოა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე და თავის ძალებში ჰპოვებს დასჯის საშუალებებსაც, რაინარიც არ უნდა იყოს იგი სასჯელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის სახელით ჩვენ მოვითხოვთ ტყვეების დაბრუნებას. საქართველოს რევკომის ავტორიტეტი მოითხოვს დასჯას იმ პირებისას, რომლებმაც უდიდესი უკანონობა ჩაიდინეს და ქართველი ტყვეები რუსეთში გაგზავნეს. დასჯილ უნდა იქმნან ის პირები, რომელნიც რევკომის ელემენტარულ მოთხოვნილებას არ ასრულებენ.

დღეს ქართულს გაზეთში „კომუნისტში" ცნობაა, რომ რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე სასწრაფო ზომას იღებს ტყვეების დასაბრუნებლად. ჩვენ გვჯერა, რომ ფ. მახარაძე მიიღებს ზომებს, მაგრამ ის კიდევ არ გვჯერა, რომ მხოლოდ ამ გზით ქართველი ტყვეები ჩამოვიდნენ სამშობლოში.

ჩვენ მოვითხოვთ პასუხისმგებელ პირის გაგზავნას რუსეთში სპეციალურად ტყვეებისათვის და სასწრაფოდ მათ ჩამოყვანას საქართველოში. არავითარი მიწერ-მოწერა არ გვინდა, არ კმარა. ქართველ ტყვეთა სიცოცხლე, მათ ოჯახთა და ნათესავთა ცხოვრება ჩვენ გვავალებს პირდაპირ საქმეზე გადასვლას და საგანგებო პირობების საშუალებით ტყვეების უკან დაბრუნებას.

თედო ღლონტი.

## მზაკვრული პოლიტიკა.

საბჭოთა რუსეთის თანამედროვე შინაური მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის ერთს დიდსა და დიდს შესანიშნავ საკითხს შეადგენს. საბჭოთა რუსეთი უდიდეს საერთაშორისო რევოლუციონურს ძალას წარმოადგენს, რომელმაც მიზნად დაისახა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის განადგურება და ახალს, სამართლიანსა და მიზანშეწონილს სოციალურს ურთიერთობაზე აშენება მთელი მსოფლიო ცხოვრების. ცხადია, ეს რეალური რევოლუციონური ძალა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის მისაღები და საჭიროა იმდენად, რამდენადაც საბჭოთა რუსეთი არღვევს ანადგურებს კაპიტალისტურ ურთიერთობის საფუძვლებს და ჰქმნის მუშათა კლასისთვის მისაღებ პოლიტიკურ და ეკონომიურს ფორმებს.

აქედან ნათელი და ადვილი გასაგებია ის დიდი ზრუნვა და გავლენა კომუნისტურ აზროვნებისა, რომელმაც დიდათ მოიკიდა ფეხი დასავლეთ ევროპის პროლეტარულ წრეებში. ევროპისა და მთელი ქვეყნის შეგნებული მშრომელი მასები საბჭოთა რუსეთს უყურებენ როგორც მხსნელს და მთელი მათი სიმპატიები მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალისაკენ არის მიპყრობილი.

მაგრამ ასეთი არ არის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი საერთაშორისო „მენშევიკებისა" (შეიდემანელებისა, ესერები და სხვა) და კაპიტალისტების. ეს ორი ძალა ოქტომბრის გადატრიალებიდანვე დაუპირისპირდა საბჭოთა რუსეთს და იარაღით ხელში ცდილობენ მის მოსპობას.

საბჭოთა რუსეთის ბრძოლა ამ საერთაშორისო კონტრ-რევოლუციონური ძალების წინააღმდეგ რამდენიმე წლის გმირული, თავგანწირული და ღირსშესანიშნავი მომენტებით ხასიათდება. რუსეთის კომუნარებმა შესძლეს შინაური და გარეშე კონტრ-რევოლუციონერების ალაგმვა, გაანადგურეს კოლჩაკ-დენიკინ-ვრანგელის რეაქციონური ბანდები, მასთანვე ანტანტის მეძალადეებთან ასე თუ ისე საზავო ურთიერთობა განამტკიცეს. ამით საბჭოთა რუსეთმა შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური თვითარსებობა და ერთ საერთაშორისო ძალად შეიქმნა, რომელსაც ანგარიშს უწევს მსოფლიოს დიდ-ტანიანი კაპიტალისტური ერთეულებიც. ეს არის შესვენების პერიოდი, რომელიც ორივე მოწინააღმდეგე ძალებისათვის იყო აუცილებელი საჭირო. ანტანტა იძულებული შეიქნა, ობიექტიურ მიზეზების გამო, ხელი აეღო დროებით რუსეთის საქმეებში შეიარაღებული ძალებით ჩარევაზე და საზავო ენით დაიწყო საუბარი რუსეთის წარმომადგენლებთან. მეორეს მხრით რუსეთიც ასეთსავე განიცდიდა და მის ერთ უდიდეს საზრუნავ საგანს შეადგენდა საზავო პირობების მოპოვება კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ეს მხოლოდ დროებითი შესვენებაა, ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ძალთა შეთანხმება და მუდმივი არსებობა მსოფლიოში შეუძლებელია. ან ერთმა, ან მეორე ძალამ უნდა გაიმარჯვოს და მთელი მსოფლიო თავისი გარკვეული პროგრამის მიხედვით მოაწყოს. ეს ყველასათვის ნათელია. მაგრამ ნათელია ისიც, რომ იმპერიალიზმი ვერ მოასვენებს საბჭოთა რუსეთი არსებობს და მთელი თავისი შესაძლებელი საშუალებით შეეცდება ხელი შეუშალოს საბჭოთა რუსეთის გაძლიერებასა და აყვავებას. ამის სიმპტომები უკვე არსებობს. ჩვენთვის ნათელი და გარკვეულია, რომ რუსეთში მომხდარი ღალატიანი აჯანყებები დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების ხელით არის მოწყობილი; ანტანტა თითქოს ახალ გზას დაადგა და გლეხთა მასიური აჯანყებებით ცდილობს ნიადაგი გამოაცალოს საბჭოთა რუსეთს. ვის ეყრდნობა ამ შემთხვევაში ანტანტის იმპერიალისტები? ვინ არის ის „ორგანიზაციული" (?) ძალა, რომელიც ცდილობს სისრულეში მოიყვანოს ევროპის ჯალათების გეგმები? ეს ძალებია, რომლებმაც ოქტომბრის დიდ გადატრიალებას სამარაში სამარე გაუთხარეს, მაგრამ თვით ჩაწვნენ შიგ. ეს ის ძალებია, რომელთაც ვერ მოუნელებიათ რუსეთში ბოლშევიკების ბატონობა და ყოველგვარის საშუალებებითა და გზებით ცდილობენ გაანადგურონ ისინი. მე მოგახსენებთ რუსეთის ესერებზე. ეს პარტია დღეს დაუღალავად ერთ საყრდენად ემსახურება კონტრ-რევოლუციონურ ძალას წარმოადგენს რუსეთში და ანტანტა მათ საშუალებით ცდილობს გატაროს თავისი მზაკვრული პლანები.

საბჭოთა რუსეთი დღეს ახალს პერიოდს განიცდის; თავისი მოღვაწეობის სამ წლიწადნახევრის განმავლობაში ბოლშევიკებმა შესძლეს შინაურ ცხოვრებისათვის და ეკონომიური აღორძინებისათვის არსებითად ყურადღება მიექციათ და მთელი თავიანთი ენერგია შინაურ ეკონომიურ წარმატებისათვის მიეპყროთ. ეს პერიოდი ეხლახან დაიწყო და მისი დამახასიათებელი თვისება საგარეო ფრონტების თითქმის მოსპობა და შინაურ სოციალურ კლასთა დაპირისპირებით ხასიათდება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ საგარეო ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტურის ქვეყნებთან რამდენიმედ წინ მიდის. ამით ერთი საყრდენი ფაქტორი შინაური ეკონომიური აღორძინებისათვის იქნება.

როგორ იქცევიან ასეთს პირობებში შინაური კონტრ-რევოლუციონერები და ესერები? მათი სამოქმედო გეგმები გარკვეულია; მათ სურთ, ერთის მხრით, გაადრმავონ ის უკმაყოფილება და წინააღმდეგობა, რომელმაც ეკონომიურს ნიადაგზე იჩინა თავი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. მეორეს მხრით, ისინი სცდილობენ მოსპონ რუსეთსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობა. ამ გეგმებს გარკვეული მიზანი აქვს შექმნან უდიდესი ეკონომიური კრიზისი რუსეთში და ამ კრიზისში ჩაახრჩონ საბჭოთა რეჟიმი. ცხადია, ასეთს პოლიტიკას გარკვეული კონტრ-რევოლუციონური შინაარსი აქვს და ის არ გამოდის რევოლუციის მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობიდან. რუსეთის ესერებს სურთ ერთხელ კიდევ დაასამარონ რუსეთის რევოლუცია, მაგრამ ყოველი გულწრფელი რევოლუციონერი ერთხელ კიდევ დაჰგმობს და უარყოფს მათ ასეთს მზაკვრულს საქციელს.

სიმ. ხუნდაძე.

## ჩვენი გამართლება.

თანამედროვე მომენტი, როგორც საერთაშორისო რთული პროცესი, მეტად დიდ მოვლენათა შესაძლებლობას იძლევა: ორი სამყარო, ორი შეურიგებელი ძალა, ერთმანეთს ეჯახება და მსოფლიო მაშტაბის ბრძოლით წყდება როგორც კაცობრიობის მომავლის საკითხი, ისე პატარა ერთა სვე ბედიც. დღეს, კაპიტალიზმი და სოციალიზმი პირისპირ ხვდება ერთმანეთს და რამდენადაც პირველი ცდილობს კაპიტალისტური სამეურნეო ორგანიზაციის შენარჩუნებას, იმდენათ მეორე მოითხოვს ახალ ფორმაციას საზოგადოებრივ ორგანიზაციისას და ახალ სტრუქტურას მრავალი ფაქტორი, როგორც ერთის, ისე მეორე მხრით, ქმნიან რთულ ლაბირინტს, რომლის გარკვევას, სოციალურ მეცნიერებათა დიდ ერუდიციასთან ერთად, ესაჭიროება პოლიტიკური შორს მჭვრეტელობა და პოლიტიკური ინტუიცია. ჩვენთვის დღეს, არა მარტო, როგორც ჩაგრული კლასისათვის, არამედ როგორც ჩაგრულ ერისათვისაც, ხელსაყრელია და სასურველი რევოლუციის გამარჯვება, რადგან მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი პოლიტიკური სოციალური აღორძინება. ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს ის გარემოება, რომ მსოფლიოში ამა თუ იმ ძალის გამარჯვება შექმნის თავისებურ საერთაშორისო კონიუნქტურას და იმ ახალ რუქაზე დაისმება საქართველოს საკითხიც, რომელსაც მოხაზავს ან გამარჯვებული და გაფართოებული შავი რეაქცია და ან ძლევამოსილი წითელი რევოლუცია. აქედგან, რასაკვირველია არ გამომდინარეობს, რომ აუცილებლათ მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია ჩავაბათ საერთაშორისო ჭიდილში. პატარა ერის ფიზიკური და ეკონომიური ძალა ვერც გადასწყვეტს ამა თუ იმ ძალის გამარჯვება დამარცხებას და ვერც დაარღვევს საგრძნობლათ მოწინააღმდეგეთა წონასწორობას, ხოლო თვით კი შეიძლება სრულებით შთაინთქეს მსოფლიო ჭიდილში და ვერ იგემოს ის ბედნიერება რომელიც შეიძლება წილათ ხვდეს დიდ ერებს შრომის სუფევის სამეფოში. სწორედ ამიტომ პატარა ერის პოზიცია ბუმბერაზთა ჭიდილში უნდა იყოს ეროვნული ენერგიის მაქსიმუმის შენარჩუნება და საერთაშორისო ბრძოლაში მინიმუმი ძალის გაღება.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. საერთოდ ყოველ გამარჯვებულ ძალას, აეტმასნება არა ამ ძალის სიმპატიით აღტყინებული ელემენტები და ქმნიან ისეთ პირობებს, რომ ფაქტიურად, რეალობაში კეთდება სრულებით საწინააღმდეგო იმისა, რასაც ესა თუ ის ძალა თავის თეორიაში, ასე ვსთქვათ ლოზუნგებში, გამოსახავს. კერძოთ საქართველოში, ასეთ მოვლენას, თებერვლის ამბების შემდეგ ფართო ასპარეზი გადაეშალა და ყველა არა ქართველი ელემენტი, რომელიც ალმაცერად უყურებდა ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, შეეცადა წითელი სამოსელის წამოსხმას და თავის საქმის გაკეთებას. ვფიქრობთ, რომ საქართველოს რევკომს და მთელ ჩვენ ინტელიგენციასაც დიდი ბრძოლა დასჭირდება ასეთი „მოლაშქრეების" ნიღაბის ახდისათვის. ვისაც სურს, რომ დაცული იქნეს საქართველოს სუვერენობის ატრიბუტები და არ იქნას შეურაცყოფილი ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა ის ენერგიულად უნდა შეებრძოლოს ასეთ მოვლენას და

ხალხს მისცეს საშუალება მტერისა და მოყვრის გარჩევისა.

დღეს კი ბევრი უპასუხისმგებლო და ასე ვსთქვათ „შეპარული“ ელემენტი ჩრდილავს რუსეთის რევოლიუციის ბუნებას, რომელმაც რადიკალურად გადასჭრა ნაციონალური კითხვა, მაგრამ დღეს ჩვენში ფაქტიურად ვერ ხორციელდება ლოზუნგები რუსეთის რევოლიუციის, რაც თავისი მხრივ ბუნებრივ პროტესტს აგროვებს ფართო მასსაში და ამით რევოლიუციის საქმე აშკარად ფერხდება.

სხვათა შორის მენშევიკური ძალა იმიტომ დამარცხდა, რომ მან ვერ შესძლო ეროვნული პრობლემის გადაჭრა. რუსეთის რევოლიუცია კი თუ მარტო ეროვნული მოძრაობა არ არის, არამედ სოციალისტური და ინტერნაციონალური, მან თავისი ლოზუნგების რეალიზაცია უნდა მოახდინოს და ამით ხელი შეუწყოს რევოლიუციის სიჯანსაღეს და სიმტკიცეს. ჩვენ, სოც.-ფედერალისტები, იმ თავითვე ვამბობდით, რომ ეროვნული და კლასობრივი მომენტი არის მტკიცე ნიადაგი ისტორიული პროცესის პროგნოზისათვის და ვინც ამ ორ ფაქტორს სათანადოდ ვერ გაარკვევს, იგი დამარცხდება ისე, როგორც დამარცხდა მეორე ინტერნაციონალი და ყველა პოლიტიკური მოღვაწე ნაციონალური კითხვის ვერ გამგები.

ისტორია მარტო მსაჯული არ არის, რომელიც მხოლოდ დამნაშავეთ სჯის, იგი ამავე დროს პოლიტიკის აკადემიაა და სოციალისტ-ფედერალიზმმა ამ აკადემიაში წარმატებით ჩააბარა ეგზამენი. დღევანდელი ხელისუფალნიც რუსეთის რევოლიუციისა, იმდენად არის ძლიერი და მტკიცე, რამდენადაც მან უარყო ორტოდოქსალური მარქსიზმის სოციოლოგიური კონცეპცია და მიიღო ფედერალიზმი, როგორც ფორმა ერთა ურთიერთობის, სოციალიზაცია კი, როგორც ფორმა სოციალური საკითხთა გადაჭრის, სოციალური ტრანსფორმაციის. ამ პრინციპებს კი 20 წლის განმავლობაში ლაღადებდა ჩვენი იდეოლოგია და დღეს თვით ისტორიული პროცესი ქედს იხრის ამ იდეოლოგიის ქვეშ. ამნაირად, ჩვენი პროგნოზი ისტორიული პროცესით გამართლდა. ჩვენი ლოზუნგების რეალიზაცია კი თავდები იქნება რევოლიუციის გამარჯვების. დღევანდელი რევოლიუციის ნაკლი კი ამ რეალიზაციის გადახვევაში და მის უსწორო გატარებაშია.

რუსეთის რევოლიუციის მომენტები ჩვენი უდიდესი გამართლებაა და სოციალიზმისა და ფედერალიზმის ბუნების ჯანსაღობისა და სიმტკიცის გამოაშკარავებაა.

ხერ. ამაღლობელი.

# შოთა რუსთველი და პროლეტარიატი

(გაგრძელება)

შოთა რუსთველი ცხოვრობდა მაშინ როცა საქართველოში ძლიერ განვითარებულ იყო ფეოდალიზმი და ფეოდალთა ბრძოლა ერთხელმწიფებას წინააღმდეგ, როცა ტრიალებდა უდიდესი ცოდვა ძველი ქვეყნისა—მონობა, რის წყალობითაც მონათა ყიდვა-გაყიდვა, როგორც სავაჭრო საქონლისა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის მანძილობაშიაც სწარმოებდა, არა თუ პოეტის დროს; ასე რომ ჩვენს დედაქალაქს ტფილისში სავაჭრო მოედნებიც კი იყო გამართული. შოთა რუსთველს, როგორც დიდ ჰუმანისტს, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ ბოროტებისთვის, რომელიც საზოგადოებას და სახელმწიფოს ძირს უთხრიდა. რუსთველი პოეტური შემოქმედებით კი არა მარტო, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აზროვნებითაც რევოლიუციონერი იყო თავის დროს. ქვეყანას ფეოდალთა ტეხა-ბორცვისაგან იხსნიდა ძლიერი ერთხელმწიფება, ბურჯი ყოველი წესწყობილებისა და კიდეც წამოაყენა დებულებად ქვეყნის მართვა გამგეობისათვის ერთხელმწიფება გულუხვობასა და სამართლიანობაზე დამყარებული. მისი აზრით სახელმწიფოს დიდებულობისათვის საჭიროა ქვეყნის მმართველი იყვეს გულუხვი, რადგანაც

უხვი აზნაურთა დააბამს,
უხვსა ჰმორჩილებს ყოველი,
იგიცა, ვინ ორგულია.

როცა ხალხის ტრადიციით, ქალი დარბაზ გარეთ უნდა აღზრდილიყო კერის პირად, სახლის ყურეს მიგდებული ძიძისას, როცა მამაკაცთან ერთად პურის ჭამა ეძრახებოდა, როგორც მცხოვრებს საქალებოში და მონასთან ერთად იყიდებოდა, როგორც მხევალი, აი იმ დროს პოეტი საჭიროდ სთვლიდა ქალისთვის ჩაებარებინა არა თუ საქე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, არამედ იგი პოლიტიკური ტერორის იდეოლოგის ტიპადაც გარდაექმნა პოეტური შემოქმედებით. თინათინის გახელმწიფების გამო აღიარებს ვეზირთა პირით

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყვეს, თუნდა ხვადიაო.

ქვეყნის სახელმწიფოს მმართველს რომ დიდი გაეკითხა და წვრილი უგულებელ ეყო, დიდის მწყალობელი და წვრილის შემრისხველი ყოფილიყო მაშინ მისი სამართალი აღარ იქნებოდა მართალი. იგი აღარ იქნებოდა

მქმნელი მართლისა სამართლისა

პოეტი ამის საფუძველს თვით ბუნებაშიაც ჰპოვებდა, სამართლიანობას იმის განგებასაც ამჩნევდა და ეს იყო მიზეზი რომ სახელმწიფოს მმართველს მცნებად დაუდო

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწყინების

მონება თუმცა იმ დროს შეწყნარებული დაწესებულება იყო, მაგრამ შოთა რუსთველი ჰკრძალავდა მის ბოროტებას. მონა ტვირთ მძიმე და მაშვრალი იყო, რომლისაც საკუთრებელი იყო ყოველი სამუშევარი სახელმწიფო იქმნებოდა, თუ საბატონო. სხვისთვის ჯანდონე დაუზოგველი იმავ დროს წარმოადგენდა არარაობას, რომლისაც ნებას არ დასდევდნენ და სავაჭრო საქონლად გადაექციათ. ამის გამო შოთა რუსთველმა ამცნო ამა ქვეყნის ძლიერს

ანთავისუფლე მონებით.

საჭურჭლე, იგივ სიმდიდრე სახელმწიფოსი იქნებოდა, თუ კერძო პირისა საზოგადოებრივი სარგებლობისთვისაც უნდა ყოფილიყო დანიშნული, როგორც მაგალითად ხანაგების (სამადლო სახლების) და ხიდების ასაგებად. აგრეთვე გლახაკებს, ობლებს და არას მქონებთაც წილი უნდა ჰქონოდათ იმ საჭურჭლეში, ასე რომ მათზე გაცემას და მათ დამდიდრებას შოთა რუსთველი თანამედროვე მდიდარ და შეძლებულ ხალხსაც ავალებს, როცა ამბობს ავთანდილის პირით.

მიეც ზოგი ხანაგთა.
ზოგი ხიდთა გახადებად.
მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
შენ და ამდიდრე ყოველი
ობოლი, არას მქონებით.

ვინ იტყვის ამას შემდეგ, რომ შოთა რუსთველი არ იყვეს აგრეთვე პოეტი ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც როგორც ბუნებას, ისე ამა ქვეყნის ძლიერთ გაუწირავთ და დაუჩაგრავთ.

პეტრე მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

# ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა *)

უსაშინელეს ეკონომიური კრიზისის ხანაში ვცხოვრობთ. დღევანდელი ცხოვრების აუტანელი პირობები მძიმე ტვირთად აწევს მთელ ერს.

დღითი დღე გაჭირვება იზრდება. სისწრაფით ეცემა წარმოებითი მეურნეობა, ეცემა მუშა ხელის ნაყოფიერება, კლებულობს მატერიალური რესურსების რაოდენობა, ამას დაუმატეთ მომავალი სიმშილობა გვალვების გამო, ზამთარი და ჩვენს წინაშე ახლო მომავლის სურათი გადაიშლება.

ეს მდგომარეობა უფრო მეტად მწვავე და საგრძნობია გაკოტრების და განიავების გზაზე დამდგარი ქალაქებისთვის; ამათში თფილისს უპირველესი ადგილი უჭირავს მთელ საქართველოში.

დიდი ცოდნა და გამოცდილება არაა საჭირო, რომ ყველა დარწმუნდეს ჩვენი დედა-ქალაქის მეურნეობის ნგრევა—მოშლის პროცესში, საჭიროა მხოლოდ გადავავლოთ თვალი მის ზოგიერთ წარმოებებს.

ელვისებურ სისწრაფით ინგრევა და ფუჭდება ტრამვაი; მისი შესაკეთებლად საჭირო მასალა კი ჩვენში სრულიად არ მოიპოვება.

ცვდება და ჩერდება ელექტრონის სადგურების, ქარხნების და სხვა დაწესებულების დინამოები და მატორები, მათი აღდგენაც შეუძლებელი ხდება სათანადო მასალების უქონლობის გამო.

არაა ელექტრონის მავთულები, არ იშოვება მანქანების წვრილმანი ნაწილები, არაა რკინეულობის საგნები, არაა ქიმიური პრეპარატები და სხვ., რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ჩვენი ისედაც ღარიბი წარმოების წელის გასამაგრებლად და შესანარჩუნებლად.

ერთი სიტყვით, ტფილისის მეურნეობის უმთავრესი დარგები გვეცლებიან ხელიდან თანდათან და რაც აღარ მოხდება ეს მით უფრო მეტ განსაცდელში ჩავარდება მშრომელი მასა.

აშკარაა, რომ დღეს ჩვენი ფიზიკურად ყოფნა არ ყოფნის საკითხი სდგას.

განსაცდელშია არა მარტო ტფილისის მშრომელი მასა, არამედ მთელი ერიც და ამ მდგომარეობის თავიდან ასაცდენად საჭიროა მიღებული იქნას სასწრაფო და საგანგებო ზომები თორემ ბოლოს გვიან იქნება.

ჩვენის აზრით ამ ზომებთა შორის შემდეგი მოსაზრებებმაც უნდა ითამაშოს თავის როლი.

1. ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადიჭრას ჩვენი ეროვნული საკითხი და სახელმწიფო ქართული ენის აბუჩად აგდებას ბოლო მოეღოს.

ამით დღევანდელი ჩვენი საბჭოთა მთავრობა დ მისი ეკონომიური პოლიტიკა ნდობას მოიპოვებს მშრომელ მასაში, რაც აუცილებელი საფუძველია მის მიერ გადადგმულ ნაბიჯების ზურგის გასამაგრებლად და ცხოვრებაში დაუბრკოლებლივ გასატარებლად.

2. ტფილისი უნდა გაიწმინდოს უცხო და ბოროტი ელემენტებისგან, როგორც უპრალო მჭამელებისაგან, რისთვისაც საჭიროა ამას წინად საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი, საქართველოდან პოლონელების, ესტონელების და სხვ. წასვლის შესახებ, თავის ლოღიკურ დასკვნამდე იქმნეს დაყვანილი.

აგრეთვე, საჭიროდ მიგვაჩნია შეძლებული კლასების უსაქმურთა მაქსიმუმამდე დაბეგვრა. უნდა გადიჭრას ლტოლვილთა საკითხი, რათა ასცდეს ჩვენს დამშეულს და კიდევ უფრო უარესის მოლოდინში მყოფ საქართველოს შემოსეულთა კვება.

3. შრომის ნაყოფიერება გადიდებული უნდა იქნეს, რისთვისაც საჭიროა პრემიალური სისტემის შემოღება შესაფერ წარმოებებში და მუშა-მოსამსახურეთა კმა-ყოფის გაუმჯობესება.

უყურადღებოთ არ უნდა მირჩეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მესვეურნიც, როგორც ზემო საფეხურზე მდგომნი, ისე მუშა-მოსამსახურეთა ქვემო კომიტეტები.

ამ ორგანიზაციების წევრების თვითშეგნებას, ცოდნას და მშრომელთაგან სრული ნდობით აღჭურვილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობისთვის...

ამ ზომების ცხოვრებაში გატარების შემდეგ კი შეიძლება შემოღებული იქნეს უსასტიკესი შრომის დისციპლინა, ერთმანეთის კონტროლი და პასუხისმგებლობა.

4. უნდა გადიდდეს შესაძლებლობამდე ყოველგვარი არსებული გადასახადები: სატრაქტირო, ვაჭრობა-მრეწველობაზე, უძრავ-ქონების ყიდვა-გაყიდვაზე, შთამომავლობითი ქონებაზე და სხვ.

ეს მისცემს საშუალებას ჩვენი ფულების საბეჭდავ მანქანებს ცოტათი მაინც შეისვენონ.

5. კვლავ უნდა გაიხსნას ლომბარდები, დღევანდელი წესწყობილებით მათი მუშაობის კეთილ სინიდისიერობა უზრუნველყოფილი იქნება და ღარიბებს-მოქალაქეთა უდიდეს დახმარებას და შემწეობას გაუწევს, ააცდენს სპეკულიანტების ხელში მათი ქონების ჩაგდებას და სამუდამოდ ხელიდან გასვლას.. ლომბარდების არსებობის, თუ გინდ შრომის სამეფოში, არ უნდა გვეხვენოდეს მანამ სანამ ასეთი უსაშინელესი ეკონომიური კრიზისია და ალვირ წახსნილ სპეკულიანტები თავის ფერხულს უვლიან.

არ უნდა დავერიდოთ არაფერ საშუალებებს თუ კი ისინი სარგებლობას მოუტანენ მშრომელ მასას.

6. ჩვენს უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად საჭიროდ მიგვაჩნია მხარი დაუჭიროთ კომუნალურ მეურნეობის მიერ ქალაქის მიწის მეურნეობის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებს.

უნდა გადიდდეს ქალაქის მიწების რაოდენობა ქალაქ გარედ დაახლოვებით 15 ვერსის რადიუსამდე. ამ გვარად შემომატებულ მიწებს ქალაქი თავის მარჩენალ წყაროდ გადიქცევს.

ცხოვრებაში გასატარებელია აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის მიერ გამომუშავებული პროექტი ქალაქის ბაღებზე და ბოსტნებზე ნატურალურ გადასახადის შემოღების შესახებ.

აი მთელი რიგი მოსაზრებებისა, რომლებიც ჩვენის აზრით უნდა ჩამოყალიბდეს სათანადო დაწესებულებებში და ცხოვრებაში გატარდეს.

თუ ამათთან ერთად გავიხსენებთ, დღეს დღეობით მიძინებულ კოოპერატივებს მაშინ იმედის ნასახი ოდნავად მაინც გაგვიღიმებს და დღევანდელ დუხჭირ ცხოვრების მძიმე ტვირთს უფრო იოლად ავიტანთ.

ვ. გვიჩია.

*) სადისკუსიო. რედ.

# ახალი ამბები

— აჭარის მისალმება. ბათომიდან აჭარის მეჯლისისგან საქართველოს რევკომის სახელობაზე მოვიდა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„თავისუფალი აჭარის მეჯლისი ესალმება საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს, რომლის ძმურის შემწეობით იმედი აქვს ცხოვრებაში გაატაროს აჭარის მშრომელი ხალხის დიდიხნის სურვილი ფართო ავტონომიურ საფუძველზე მართოს თავისი ქვეყანა თავის ჩვეულების თანახმად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებმა შესძლო წვრილ, დაჩაგრულ და უპედურ ერთვნებათა ჭრილობების განკურნება. მეჯლისი დარწმუნებულია, რომ აჭარის ფართო ავტონომიის განხორციელება მოსპობს იმ უთანხმოებას, რომელშიაც ჰპადავდა ერთიერთ გაუგებრობას ძმებს ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მუსულმანებს შორის. გაუმარჯოს საქართველოს და მის რევოლიუციონურ მთავრობას. მეჯლისის თავმჯდომარე გახან ლორთქიფანიძე.

# რადიო

### შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეთის შედგენა.

მოსკოვი. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობის მინისტრთა საბჭო საბოლოვოდ შედგენილია კოალიციონურ საფუძველზე. ესერებმა უარი სთქვეს მინისტრთა საბჭოში შესვლისა.

### კონცესიები ამხიდებს.

მოსკოვი. შორეულ აღმოსავლეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულია ხელშეკრულება მდინარე ოლკის რაიონში არსებულ ამერიკულ ფირმისათვის კონცესიების გადაცემის უმთავრეს მადნების შესახებ. კონცესიები 16 წლის ვადით გადაეცემა. მთავრობას უფლება აქვს გამოსყიდვისა ვადის გასვლამდის.

### გაფიცვები იტალიაში.

მოსკოვი. სახელმწიფო მუშათა გაფიცვა იტალიაში იზრდება.

### [illegible]

ლონდონი. [illegible] და მოკავშირეთა [illegible] 12 დღის განმავლობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

### იაპონიისადმი შორეულ-აღმოსავლეთის ნოტა.

მოსკოვი. შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაისის 30-1 მიმართა ნოტით იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიაც შორეულ-აღმოსავლეთის მთელი რუსის ხალხის სახით გადაწყვეტით მოითხოვს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საქმეში იაპონიის ჩარევის შეჩერებას. ნოტაში აღნიშნულია იაპონიის ჩარევის ფაქტი და იაპონიის სარდლობის მიერ შორეულ-აღმოსავლეთის კონტრ-რევოლიუციონერთადმი დახმარება. ნოტა კატეგორიულად მოითხოვს იაპონიის მთავრობისა და სარდლობისაგან გარკვეულ განცხადებას და გადაწყვეტილ უარს ვლადივოსტოკის ყალბ-მთავრობისადმი დახმარებაზე.

### საგარეო ვაჭრობა.

პეტროგრადი. საგარეო-ვაჭრობის წარმომადგენელმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს განუცხადა, რომ აგვისტოდან დაწყებული პეტროგრადში უცხოეთიდან ზღვით დიდ-ძალი ორთქლმავალი იქნება მიღებული. ყოველ თვიურად მიიღებენ 120 ორთქლმავალს.

სანამ საფრანგეთი და გერმანია საბოლოოთ არ გადასწყვეტენ სადავო საკითხებს, მანამდე ევროპის აღორძინება და ეკონომიურ მშვიდობიანობის ფაქტიური დამყარება შეუძლებელია.

### პრესის თავისუფლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში

მოსკოვი. ლოიდ-ჯორჯმა ერთი პირის მეოხებით ხელთ იგდო გაზეთი „ტაიმსი“. ლოიდ-ჯორჯის ყოფილი პირადი მდივანი ამიერიდან „ტაიმსი“-ს რედაქტორად იქნება.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ცრ. მთავარი კომიტეტისა.

დაიკარგე რეგისტრაციის ბარათი მოცემული ტფილისის კომენდანტის სამართველოდან. საგანგებო რაზმის ოფიცერი რასტომ ივანესძე ფიცხელაური, რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 1037

დაიკარგე ივანე ონოფრის ძე ზარუბაევმ პირადობის მოწმობა მოცემული ტფილის. სახელ. უნივერსიტეტიდან—ვთვლი გაუქმებულად. 1031

დაიკარგე მოსკოვის ელექტრო-ტეხნიკურ კურსების გათავების მოწმობა № 126 და თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტობის მოწმობა, რომლებიც გაბათილებულად ჩაითვალოს შალვა გომართელი. 1030

დაიკარგე მოწმობები მოცემული ქუთაისის სამხედრო სამკურნალოდან პირველი ჰოსპიტალისა მეორე კომისიისა შემდეგ თბილისის ორი შემოწმებული ჯანმრთელობის მოწმობები, პირადობის მოწმობა მოცემული მერეთის რევკომიდგან, სარეგისტრაციო ბარათი მოცემულ, მეთერთმეტე არმიის საგანგებო კომისიიდან, სურათი ელიფანტე სამხარაძე მათთან ერთად პარტიული ბარათი, რაიც ითვლება გაუქმებულად. 1038

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, ატესტატის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081